პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

14 თებერვალი აეროფლოტის დღეა

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 37 (18279) კვირა, 14 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

სრულად ავამოქმედოთ ვაჭრობის რეზერვებიც

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ქვეყნის ცხოვრებაში დიდი მოვლენის — სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის აღსანიშნავად. ამ შრომის ფრონტზე აქტიურად ჩაებნენ მომსახურების სფეროს მუშაკები, რომელთა მეცადინეობა ძირითადად მიმართულია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისა და მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის.

ვაჭრობის შემდგომი განვითარების ვრცელი პროგრამა დაისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებულ დადგენილებაში „მეთორმეტე ხუთწლედში ვაჭრობისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შემდგომი განვითარების შესახებ". ამ დარგის მაჩვენებლები დღენიადაგ იზრდება, დიდი ყურადღება ექცევა ყოველდღიური მოხმარების საგნებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეს, 1982 წლის იანვარში შარშანდელ პერიოდთან შედარებით საცალო საქონელბრუნვა რესპუბლიკაში 3,6 პროცენტით გაიზარდა.

მიმდინარე წლის დამდეგიდან-ვე კარგ შედეგებს მიაღწიეს ქ. თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა, თელავის და გორის ქალაქვაჭრობებმა, გარდაბნის, მარნეულის, სამტრედიის, თერჯოლის, თეთრწყაროს, ყვარლის, ჩხოროწყუს რაიკოპერატივებმა და სხვა ორგანიზაციებმა.

ამასთანავე ზოგიერთმა სავაჭრო ორგანიზაციამ ვერ შეძლო ძირითადი და დამატებითი საგებმო დავალებების შესრულება.

რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებმა სოფლის მოსახლეობას მარტო იანვარში 2,7 მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი დაუალეს. აჭარისა და სამხრეთ ოსეთის კოოპერაციებმა გეგმა შესრულეს შესაბამისად 89,6 და 84,5 პროცენტით, ახალქალაქის რაიკოპკავშირმა — 87,6, აბაშის რაიკოოპერატივმა — 85,2, ამბროლაურის 85,3, ბორჯომის — 84,9, დმანისის — 84,3, ზესტაფონის — 76,3, ხაშურის რაიკოოპკავშირმა — 77,6 პროცენტით.

საქართველოს სსრ ხალხოსტეულის მეურნეობის სამინისტრომ მოსახლეობას დაუალო 941 ათასი მანეთის საქონელი, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ — 840 ათასი მანეთი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა საფოთაქო სამმართველომ — 516 ათასი მანეთი, რესპუბლიკის ნაციონალურ-ფუტბლების მომარაგება-გასაღების სახელმწიფო კომიტეტმა — 404 ათასი მანეთი.

გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს აგრეთვე „საქპიდროენერგომშენის" ტრესტის მუშაკთა მომარაგების სამმართველომ — 89,3 პროცენტით და „საქმეფტქენიკის" სამმართველომ — 65,1 პროცენტით, ჩამორჩებიან მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის, ხორცის და რძის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საფირმო მაღაზიები.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში დაგეგმილია ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობის გაზრდა 290 მილიონი მანეთით ანუ 6,5 პროცენტით შარშანდელთან შედარებით.

იანვრის შედეგები მიგვანიშნებს, რომ ჯერ კიდევ ყველა სამინისტროსა და უწყებაში, რომელიც ეწევა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებას, რესპუბლიკის ყველა რეგიონში, არ არის უზრუნველყოფილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელება. საჭიროა წლის დამდეგიდანვე, მიექცეს ყურადღება სავაჭრო ორგანიზაციების რატმოენ მუშაობას, რათა იანვრის ჩამორჩენა არ გადავიდეს შემდგომ პერიოდზე, თორემ შეიძლება უარეს მდგომარეობა გაჭიანურდეს. ეს ეხება იქონიოს ადგილობრივ რესპუბლიკებმა ვაჭრობის სათანადოდ ორგანიზებას.

ვაჭრობა ვალდებულია მდგომარეობის გამოსასწორებლად უამრავია. ამ საქმეზე მხოლოდ მათი დღენიადაგ ძიება და უნარიანი გამოყენება.

ვაჭრობა სხვა დარგებს არც ბაჯარი უნდა ჩამორჩებოდეს!

ჩვენს ქვეყანაში

● ნოვგოროდის საწარმოო გაერთიანება „კომპრესმაშ" აითვისა ვიდეომაგნიტოფონის „ელექტრონიკა-591-ვიდეოს" წარმოება. ელექტროკესელის გარდა იგი ავტომობილის აკუმულატორით და ბატარეებითაც მუშაობს, ფერად ტელევიზიცემებსაც იწერს და ნატურიდანაც იღებს. სავაჭრო ქსელი წელსვე მიიღებს ამ პროდუქციას.

სურათზე: დამკომპლექტებელი ა. ლ. კუზმინა უჩვენებს ახალ ფერად ვიდეომაგნიტოფონს.

● 1982 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ცენტრალური ტელევიზიის მეორე საკავშირო პროგრამა, რომელსაც ურალის, შუა აზიის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის რაიონებიც კი მიიღებენ. გთვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლედში პროგრამის გადაცემა შორეულ აღმოსავლეთამდე განავრცონ.

სურათზე: ოსტანკინოს ტელეცენტრი. აქედან იწყება მეორე საკავშირო პროგრამა.

● ლენინგრადი. ლამაზ ტორშერებს, ბრეს, მაგიდის ლამპრებსა და ჭაღებს უშვებს საწარმოო გაერთიანება „ხსივი". ფირმის პროდუქციის მეოთხედი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის. ამჟამად გაერთიანების კონსტრუქტორები და მხატვრები ახალ პროექტებზე მუშაობენ.

სურათზე: ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. ნ. სობოლევა ახალ ნიმუშებს უჩვენებს.

● სურათზე: ავაჩინსკის ვულკანის თავზე პირველად აფრიალდა პარაშუტები. აქ „ვარჯიშობენ" კრატერში ჩახტომის წინ.

საკდეხის ფოტოქრონიკა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

18 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ე. ა. შევარდნაძემ მიიღო ქალაქ გეორგიევსკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პარტიის გეორგიევსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. ბურლუცკი. დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა ქალაქ აორის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გეორგიევსკის მშრომელებს გააცნო წარმატებანი, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მოიპოვეს ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში, ესაუბრა მათს ბრძოლაზე XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმრებს აცნობა, რომ რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან აღნიშნონ გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავი, როგორც რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და შეკავშირების ნამდვილი დღესასწაული, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი.

შეხვედრამ ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე და პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ზ. მაყაშვილი.

(საქინფორმი).

ᲐᲕᲘᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

12 თებერვალს თბილისში გაიმართა აეროფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსმა სოციალისტური შრომის გმირმა ი. ზ. სამადაშვილმა.

რესპუბლიკის ავიამუშაკთა კოლექტივმა ვადამდე გაანაღდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი დავალება, როგორიც არის ავიაციის სახალხო მეურნეობაში გამოყენება, და მტკიცე ბაზა შეუქმნა ხუთწლიანი გეგმის წარმატებით რეალიზაციას. (საქინფორმი).

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

ჩვენი რესპუბლიკის ავიატორებისათვის შარშანდელი წელი საიუბილეო იყო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის 50 წელი შეუსრულდა. ეს პერიოდი აღსავსეა უმნიშვნელოვანესი მოვლენებითა და საინტერესო ეპიზოდებით.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს, მეთერი რიგი გაფთავილისწინებული სირთულეებს მუხდებოდა, ავიატორებმა თავდადებით იშრომეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება და ამას ხელი შეუწყო მრავალი ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ღონისძიების განხორციელებამ. გფფართოვდა საინფორმაციო კსელი, ეკონ თვითმფრინავების დაგვიანებით გაგზავნის შემთხვევებმა, უფრო მოკნილი გახდა საფრენ-ტჩერო სამსახურის მუშაობა, გაუმჯობესდა მფრინავთა და დისპეტჩერთა შემადგენლობის მომზადება, განმტკიცდა შრომისა და საწარმოო დისციპლინა.

საქართველოს ავიატორებს კარგად ესმით, რომ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ბევრი სირთულის დაძლევა მოუწევთ და საამისოდ მზად არიან. ისინი ყველაფერს ღონობენ თვითმფრინავეთა პარკის მაქსიმალური გამოყენებისათვის, ახალი ტექნიკის სწორი ექსპლოატაციისათვის.

ამჟამად მოსკოვამდე, ლენინგრადამდე, ტაშკენტამდე, ნოვოსიბირსკამდე, ოდესამდე, სიმფეროპოლამდე, ვოლგოგრადამდე, გორკამდე, ლვოვამდე, სარატოვამდე და მრავალ სხვა ქალაქამდე და პუნქტამდე მგზავრთა გადაყვანა-გადმოყვანა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თვითმფრინავებით ხდება.

საქართველოს ავიატორები ამთავითვე ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

სურათებზე: საჰაერო ლაინერის ტუ-154-ის მეთაური, პირველი კლასის პილოტი ვახტანგ მეფისწყვარიძე; თბილისის აეროპორტში თვითმფრინავი მორიგი რეისიდან მოფრინდა.

შ. ამაშუკელი.
ა. რუხაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის სოოლქო კომიტეტმა აქ გამართა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნს „მოგონებებს".

კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის სოოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის სოოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბუტბამ. კონფერენციაზე ითქვა, რომ ლენინი ილიას ძე ბრეჟნევის წიგნები გვასწავლის როგორ ვიცხოვროთ, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. (საქინფორმი).

მშრომელთა წერილებისა და წინადადებების საფუძველზე

— **ასეთი** სათაურით გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო ბიულეტენში მასალა, რომელშიც ფართოდ არის განზოგადებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა-მოყალიბების, მათ შორის, მშრომელთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობის, საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისას მიღებული მონაცემების გამოყენების საქმეში.

შემოწმება გვიჩვენებს, აღნიშნულია საინფორმაციო ბიულეტენში, რომ წერილებზე მუშაობა და მოქალაქეთა პირადი მიღების ორგანიზაცია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრშია. ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე საქმეთა მდგომარეობას რეგულარულად განიხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, პარტიული კომიტეტების ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე, მათ შესახებ ბეჭდავენ საბჭოთა და პროფკავშირული კოლეგიური ორგანოები. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საკმაოდ სრულად და კონკრეტულად, ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით განსაზღვრავენ ამოცანებსა და მუშაობის მიმართულებებს, მოქმედების თანამიმდევრობას პარტიის ყრილობების მითითებებისა და იმ დადგენილების რეალიზაციისათვის, რომელიც მიიღო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები შესახებ".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ამტკიცებს და ავითარებს მშრომელთა ფართო მასებთან ურთიერთობას და ამავე დროს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას მიზნად უსახავს საფუძვლიანად და დროულად განიხილონ მშრომელთა ყოველი საქმიანი წინადადება, მოქალაქეთა თითოეული საჩივარი თუ სათხოვარი.

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ აპარატში არსებული მოქალაქეთა მიმართვების მსჯელობის წესი და შესრულების კონტროლის სისტემა ძირითადად უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებათა მიღებას ადგილზე საკითხების ოპერატიულსა და სრულ გადაწყვეტას. ამის შედეგად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შემოსული წერილების რაოდენობის ერთგვარ შემცირებასთან ერთად კონტროლდაწესებული წერილების რიცხვი გაიზარდა 17 პროცენტით, ცენტრალური კომიტეტის მდივნებისათვის მოხსენებული წერილებისა — 10 პროცენტით და მეტად, განყოფილებებში განსახილველად, 22,5 პროცენტით.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მოქალაქეთა პირადი მიღების ორგანიზაცია. ამასთან უნდა აღინიშნოს ისეთი პრაქტიკის ფართო გავრცელება, როცა რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები უშუალოდ შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არჩევენ მშრომელთა განცხადებებს, იღებენ მოქალაქეებს. მუშაობის ასეთი ორგანიზაციის მაგალითს იძლევა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა უკანასკნელ ხანს მოაწყვეს მოქალაქეთა მიღება თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში და სილიკატური საშენი მასალების ქარხანაში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახმეტის, ყვარლის, გარდაბნის, გურჯაანისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

საწარმოო კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილზე მოქალაქეთა მიღება დამტკიცებული გრაფიკების მიხედვით ფართოდ დამკვიდრდა ყველა დონის ხელმძღვანელთა საქმიანობის სისტემაში.

რეგულარულ საფუძველზეა დაყენებული კოლეგიური ორგანოების სხდომებზე ხელმძღვანელთა ანგარიშები მშრომელთა წერილებზე გაწეული მუშაობის შესახებ, რამაც შესაძლებელი გახადა კიდევ უფრო გაფართოებულიყო და გაღრმავებულიყო ბრძოლა ბიუროკრატიული ბრალეულობების წინააღმდეგ, უფრო მკაცრი შეფასება მისცემოდა პასუხისმგებელ მუშაკთა მხრივ მშრომელთა საჭიროებების უგულებელყოფის ფაქტებს.

საინფორმაციო ბიულეტენი დადებითად აფასებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პერიოდის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ გაძლიერონ ბრძოლა ბიუროკრატიის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სასამართლოს ორგანოებში. ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე მარტო გასულ წელს იმსჯელეს 12 საკითხის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო წერილების განხილვის შედეგებთან და ხარისხთან. მათ შორის — კვაილის ტყვია-თუთიის მაღაროთასამმართველოს მუშათა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტების შესახებ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქსოფლმშენნდუსტრიის" ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც დაუშვეს ნაკლოვანებანი და დარღვევები, მოქალაქე ტ. ტ. სკვორცოვას განცხადებათა განხილვისას და სხვ.

საქართველოს პარტორგანიზაციას შეძენილი აქვს გამოცდილება, თუ როგორ გამოიყენოს მშრომელთა წინადადებები, საზოგადებრივი აზრის ანალიზის შედეგები სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის დემოკრატიული საფუძვლების გასაღრმავებლად.

უკვე მტკიცედ დამკვიდრდა ისეთი პრაქტიკა, როცა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები პლენუმების, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიების მომზადებისას წინასწარ მიმართავენ პრესის მეშვეობით ყველა კომენტარსა და უპარტიოს, თხოვნით გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი განსახილველ პრობლემებზე. მშრომელთა წინადადებები, შენიშვნები, რჩევა-დარიგება გამოდის ცალკე ბროშურებად, მათ გულდასმით ანალიზებენ და ითვალისწინებენ ფადაწყვეტილებათა შემუშავებისას.

ამასთანავე ალინიშნება ფართო მასების აქტიურობის ინტენსიური ზრდა, მათი მისწრაფება მიიღონ ქმედითი მონაწილეობა რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების განხილვაში. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინ ცენტრალური კომიტეტის მიმართ ასეთივე ბრძანებულ ასურეთ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის მსმენელთა წინაშე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ა. გ. გილაშვილი აბარებს მეცადინეობებს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ა. პატარაძე — თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ასეთივე დავალებებს ასრულებენ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყველა სხვა წევრი და წევრობის კანდიდატები.

ადამიანთა მოთხოვნებისა და შეხედულებების შესწავლის სისტემაში მტკიცედ დამკვიდრა ადგილი მოსახლეობის რეგულარულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი საზოგადებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრი სისტემატურად და მრავალმხრივ ანალიზებს მოქალაქეთა მიმართვებს, ეწევა გამოკითხვებს ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა დავალებების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ და პრაქტიკულად იყენებენ მეცნიერული ანალიზის შედეგებს. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მოეწყო საზოგადებრივი აზრის 27 გამოკვლევა მრავალ სხვადასხვა პრობლემაზე. მათ შორის არის ისეთები, როგორიცაა: მგზავრთა მომსახურება რკინიგზის და საავიაციო ტრანსპორტზე, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების გზები, მავნე წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, მილიციის და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, ეკონომეს„ეკონომიური ტანდემ"იების გავრცელების მიზნები და მათი დაძლევის გზები. მრავალი გამოკვლევის შედეგების მიხედვით ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიიღო დადგენილები, ხორციელდებოდა შესაბამისი ღონისძიებები.

საინფორმაციო ბიულეტენში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშალებებთან; ეკრძოდ, აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში ამაღლდა მათი როლი მშრომელთა მიერ აღძრული პრობლემების ოპერატიულად და დადაწყვეტაში. უფრო ქმედითი ღონისძიებანი ხორციელდება პრესის კრიტიკულ მასალებთან დაკავშირებით, პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი რეგულარულად გამდიან ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც უპასუხებენ მოქალაქეთა შეკითხვებს.

სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ გაჩაღებულ უკომპრომისო ბრძოლაში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოები შრომელთა ქმედითს დახმარებას ეყრდნობიან. მათი სიგნალების მეოხებით მხილებულია მთელი რიგი სერიოზული თანამდებობრივი დანაშაულობანი — სახელმწიფო საკუთრების დატაცებისა და განიავების ფაქტები. საზოგადოებრიობის წინადადებათა გათვალისწინებით საქართველოში ამ ბოლო წლების მანძილზე მიღებულ იქნა კანონები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაამაგრეს პასუხისმგებლობა მუქთახორობის, ქურდობის, სპეკულაციისა და სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმების სხვა დარღვევებისათვის.

იმ მუშაობაში, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა შრომელთა ჩასაბმელად საზოგადებრივი პროცესების მართვაში მონაწილეობისათვის, დიდი ადგილი უკავია კადრების პოლიტიკის საკითხებს. მტკიცედ დამკვიდრდა ისეთი პრაქტიკა, როცა საწარმოო კოლექტივების საერთო კრებებზე განიხილავენ ბრიგადირის, საამქროს უფროსის, საწარმოს დირექტორის, რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური სამეურნეო ორგანოების, საავტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელი კანდიდატებს, მუშაობა კოლექტივი, რომელმაც მხარი დაუჭირა თავისი კოლეგების წევრის დაწინაურებას ხელმძღვანელ რაიონულ, საქალაქო, საოლქო ან რესპუბლიკურ სამუშაოზე, არ წყვეტს კავშირურთიერთობას თავის წარგზავნილთან, ნიადაგ კითხულობს, როგორ მიიღის საქმე, ეხმარება მას.

ეყრდნობა რა მოქალაქეთა წინადადებებს, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ დადგინა შედეგები მიაღწია იმ აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც მშრომელთა საარსებო ინტერესებს ეხება. მათი შენიშვნებისა და სურვილების საფუძველზე განხორციელდა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, მომუშავე ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, ბენეფის დაცვის გაუმჯობესებას და ა. შ. მეათე ხუთწლედში რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა სკოლამდელი დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საავადმყოფოების, საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის საგეგმო დავალებანი.

„სოციალური პრობლემების თანამიმდევრულ გადაჭრას შედეგად მოსდევს მოსახლეობის სიმშვიერების მნიშვნელოვანი შემცირება. მაგალითად, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თითქმის ერთ-ნახევარჯერ იყო რესპუბლიკის ცენტრალურ კომიტეტში შემოსული შრომელთა წერილებსა სამინაო საკითხებსა და სამედიცინო მომსახურების პრობლემებზე.

პუბლიკაციის დასასრულს აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს ღონისძიებებს, რათა კიდევ უფრო სრულყოს მოქალაქეთა წერილობითი და სატყვიერი მიმართვების განხილვა, გამოიყენოს ისინი მართვა-გამგეობის დემოკრატიული საფუძვლების გაფართოების, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲑ. Ჯ. ᲩᲐᲠᲯᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 75 წელთან დაკავშირებით დაჯილდოდეს ამხ. ჯანდიდ ნესტორის ძე ჩარჯვიანი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო-მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 13 თებერვალი.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1337"

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1337". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, განავრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საყოველთაო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

10 ნაბეჭდი

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებიდან

დღევანდელი გადასახედიდან

საბჭოთა იაპონია: განვლილი და საჭირბოროტ

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

შ. ს. სანაკოევი

ისტორია საუკუნეებით დააბიჯებს და დროის ათწლიანი მონაკვეთი მასში ნერტილადაც არ მოჩანს. ერთი თაობისთვის კი ათი წელი დიდი დროა და თუ რამდენის მოსწრება შეიძლება დროის ამ მონაკვეთში, ერთხელ კიდევ ნათლად ეხედავთ ამ დღეებში, როდესაც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის დადგენილების შემდგომ განვლილ მუშაობას ვაჯამებთ, ვაანალიზებთ მიღწეულს და ჯერ დაფაქიზებულ სიძნელეებს.

უმთავრესი იმასთან ერთად, რასაც კონკრეტულად მივაღწიეთ, ისიც არის, თუ რა გზით ვიარეთ, როგორ შეძლებით მოითხოვებული ნაკლოვანებების დაძლევა და აგრეთვე ისიც, რასაც ცდა დავაკლეთ ანდა ბოლომდე ვერ მივიყვანეთ.

● ●

დღეს თვით უკიდურესად სკეპტიკურად განწყობილი ადამიანებიც და „ურწმუნო თომებიც" ვეღარ შეძლებენ თვალი დახუჭონ აღმავლობის იმ გზაზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რომ ადგას. იმიტომ, რომ ოლქის მშრომელთა ბოლოდროინდელი წარმატებები. უკვე ფაქტად იქცა, ხოლო ფაქტს, როგორც ობიექტურად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულ რეალობას, გვერდს ვერ აუვლი. თანაც ფაქტი ყოველთვის თავისთავად ყველაზე უკეთ მეტყველებს და ზედმეტ შელამაზებას აღარ საჭიროებს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა, მთამთა პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა სავსებით სწორად და სამართლიანად მიიჩნიეს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის ჭეშმარიტად საეტაპო დადგენილებაში რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისთვის მითითებული სერიოზული ნაკლოვანებანი ცხოვრების და მუშაობის სხვადასხვა სფეროში თანაბრად მათაც ეხებოდათ. ამის შემდეგ დაიწყო ახალი და დიდწინშვნელოვანი ეტაპი ოლქის სამეურნეო, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

გამოხდა ხანი, და სამხრეთ ოსეთის კომუნისტებს სამოქმედო პროგრამა უკვე ზუსტად და კონკრეტულად განუსაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის სექტემბრის დადგენილებამ, რომელიც უაღრესად დაძაბულ, შემოქმედებითს შრომას მოითხოვდა. ის ბრძოლა მაშინ დაიწყო და დღემდე გრძელდება.

განვლი მუშაობა კონკრეტული შედეგებით ფასდება. ხოლო შეფასების უპირველესი კრიტერიუმი სტატისტიკაა. ეი ისიც: მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოება ოლქში ამ ბოლო ათი წლის მანძილზე 175 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება 145 პროცენტით, მოგება ერთიორად გადიდდა, ხოლო მშრომელთა მატერიალური ანაზღაურება — ერთ-ნახევარჯერ.

მარტო მეათე ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში 43,7 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები ჩაედა მწყობრში, იმდენივე, რამდენიც მეშვიდე და მერვე ხუთწლედებში ერთად.

დიდი ყურადღება მიექცა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას. ახლა ოლქში იმაზე სამჯერ მეტი სახალხო მოხმარების საქონელი გამოდის, ვიდრე - ამ ათი წლის წინათ.

მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში. მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 1972 წელთან შედარებით 190 პროცენტით გაიზარდა. გაუმჯობესდა სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, ხილის, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის მიყიდვის მაჩვენებლები.

ციფრები, მართალია, ზუსტად, მაგრამ მაინც მშრალად და ზოგადად გამოხატავს ხოლმე იმ კოლოსალურ შრომას, რომელიც მათ მიღმა რჩება. შრომა კი მართალ დიდი დაიხარჯა და ამას აქ ამ ბოლო წლების მანძილზე აშენებულ-გაკეთებულის ჩამოთვლაც ნათელს ხდის: მარტო სამეურნეო თუ სოციალურ-კულტურული დანიშნულების 50 ობიექტი აშენდა, მათ შორის ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ხე-ტყის კომბინატის საავეჯო საამქრო, ზნაურის მეძროხეობის კომპლექსი 800 სულისათვის, ვანათის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი კომპლექსი 2.000 სულისათვის, ვარიან-ცხინვალის ნყალსადენი, ცხინვალის სანეკიდსადგური, ცხინვალისა და ჯავის ტურისტული ბაზები, ჯავისა და ზნაურის სავაჭრო ცენტრები, სოფლის სკოლები 3.342 მოსწავლისათვის, საბავშვო კიდევი ბაღები ჯავისა და წონის საბჭოთა მეურნეობებში, „ბალითის" ჩამოსასხმელი საამქრო, ცხინვალის 200-ადგილიანი სასტუმრო, საოლქო ბიბლიოთეკა 500 ათასი წიგნის ფონდით, 15 ავტომატური სატელეფონო სადგური სხვადასხვა დაბასა და სოფელში, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ხიდები, საავტომობილო გზები, ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები მთის სოფლებში, პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლები და მრავალი სხვა.

ოქტომბრის რევოლუციის 64 წლის თავის დღესასწაულის დღეებში მოსახლეობის დიდი ხნის ნაოცნებარი ახდა — კავკასიონის ქედის როკის უღელტეხილის ორივე მხრიდან მომავალი გვირაბები შეერთდა.

ამ ბოლო წლებში ორი ათასმა ოჯახმა გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები. ერთი სიტყვით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ზრდის, შენების, განახლების მსგავსი წლები არ ახსოვს.

შეუძლებელია სიამაყით არ აღიგსო იმ წარმატების გამო, რომელიც შენი ენერგიის, უძილო ღამეების ნაფიქრალ-ნააზრევის პირდაპირი შედეგია. მაგრამ წარმატებას ნაჩვევი კაცი მიღწეულთან ლაციცში დროს აღარ კარგავს, ფიქრი უმეტესად გასაკეთებელს დასტრიალებს ხოლმე თავს. ამ გრძნობამ აიქმევინა, ალბათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატს, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **ფილიპე სანაკოევს** შარშან გამართულ საოლქო კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე: მიღწეული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ისე კეთდება, როგორც ამას დღევანდელობა, მიწეული გეგმები მოითხოვს. ხოლო ჩვენს **კითხვას, თუ კონკრეტულად რა ვერ გაკეთდა დასახულიდან,** მან ასეთივე კონკრეტული პასუხი გასცა:

— ვერ ავაშენეთ 240 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი ვანათის და ზნაურის მეცხოველეობის კომპლექსის მომსახურე პერსონალისთვის, დავაროვნეთ ბანაო-საშხაპეების შშენებლობის ვადები ცხინვალის რაიონის სოფლებში ეკეზსა და ავნევში; დროზე ვერ გადავეცით საკმარისი ტალონები ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკა (ქვემოთ, მარჯვნივ). ამავე ფაბრიკის საქმოვი საამქროს მოწინავე კომფინტი ელენე თარაეევა (ზემოთ); ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები საგაზაფხულო თესვისათვის ემზადებიან. თესვისთვის ტექნიკის მზადყოფნას ამოწმებენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბესტაევი (მარცხნივ), სხვ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მექანიზატორი ყ. ქელესხანია (ქვემოთ). კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ვ. თედეევი (ქვემოთ).

ლ. ბუსოვის ფოტო.

გიორგი ძიგოევი

მე ვუმღერ დიდ მგზნებრობას

როცა ორი ძმის დიდებას ვამბობ,
ჩემს აღტაცებას არა აქვს ზღვარი.
მე ბავშვობიდან მატკობს და მათობს
ეს წრფელი გრძნობა — იმედის ფარი.

ვუმღერ ბურდუხანს, მის გულისსწორსაც,
ვისაც სახელად გიორგი ერქვა,
მე ვუმღერ თამარს და დავით სოსლანს
და მესმის მათი გულების ფეთქვა.

მე ვუმღერ თამარს და დავით სოსლანს,
და ეს იცოდე, ვუმღერენ მარად.
მე მათ უნათლეს სახელებს ვლოცავ,
არ დავიღლები ამ ლოცვით, არა!

ჩემი ვალი მახსოვდეს მიწყივ,
ვინც მიჰყვებოდა ერთიანან ძახილს,
ვინც დაამყარა უკვდავი ფიცით
ქართველი ხალხი და ოსი ხალხი!

ვადიდებ ოს ხალხს და მოძმე ქართველს,
ორივე მიყვარს მე სულზე მტკად.
ვიგონებ წარსულს და უფრო ნათლად
ამ ძმობას დღეის ბრწყინვაში ვხედავ.

მე ვუმღერ რუსეთს—ჩვენს უფროს ძმობილს,
რომ ადფაღებებს ჩვენს დიდ კავშირს,
შეეხარი რუსეთს — ჩვენს უფროს ძმობილს
და მზის კოცონი ანთია ხმაში.

...როცა ორი ძმის დიდებას ვამბობ,
ჩემს აღტაცებას არა აქვს ზღვარი.
მე ბავშვობიდან მატკობს და მათობს
ეს წმინდა გრძნობა — იმედის ფარი.

ოსურიდან თარგმნა **ხუტა ბერულავამ.**

● ●

გიორგი ბესთაუთი

კაცის ხელებს ბარაძა

უხსოვარ დროში, შეერია როცა სამყაროს კაცის სანყისი, ბუნებაში იშვა რომელიც, ოფლის წვეთებში ნვითოსავით ენთო სანთლები,
მისი ცხოვრების და გზა-კვალის
მანათობელი.

ძეგ ადამისა გაარღვია ფამთა წყდიადი:
კაციჭაშია ვეულრების ჯოგში დარჩენას,
სისხლისმსმელობას, ტყიურების მხეცურ
ღრეანცელს
გადაარჩინა შრომამ, ბრძოლამ, გონებამ,
მარჯვენამ.

ძეგ ადამისამ გზა გაკვალა გაუკვალავი
და ოფლის წვეთი, ვით ვარსკვლავის
ბნელში ანილი,
საუკუნეთა გაეფანტა რათა ნკარაში —
დაცვარულ შუბლზე უელავდა მაშრალს
ფარავით.
წვეთო ოფლისავ, ოქროს წვეთო, მტვერს
შეხელილო,
კაცის ხელების ხარ სიუხვის დერეფტა
მზიანი —
ბუნების უცხო თაიგულად რომ
გაჩენილხართ —
თქვენ, ჩანასახი ვინც ჩასახეთ ადამიანის—
ქვეყნად ლამაზი, სანატრელი თუ რამ
შობილა,
ამაღლებულა, გადაწნულა ფერში
ფერებად, —
შენ, მიწის ღალავ, მზის სხივებთან
გადაჭდობილო,—
ეს ყოველივე შენ შექმენი — გამრჯე
ხელებმა.
თვითონ სიცოცხლე კრძალვითა ხრის
თავს შენ წინარე,
ტაძრის საძებრად ქვეყანანა რომ შემოიარო,
შენზე მაღალი, შენზე წმინდა ღმერთი
ვინ არი,
შენს ხელებს ვუძღვნი ამ სიმღერას,
ადამიანო.
სიცოცხლის ფესვო, სიხარულის ჩვენის
ბინულო —
მზის ქვეშ თავთუხო, ხოდაბუნზე
დუფდევარო,
ქოჩორა ტაროვ, მარგალიტით
გადაკბილულო,
ბროლისთვალება, დაშაქრულო ყურძნის
მტევანო,
ნითელო ვაშლო, მსხალო, თაფლად რომ
ხარ ქცეული,
ვაშა, მის ხელებს, ვინაც თქვენში
ამირანივით
ცეცხლი დაანთო უკვდავების, ცეცხლი
გრძნეული
და მინით შობილთ, ზეციური მოგვათა
ეირი,
** იმის დაკოერილ ხელებისთვის ყელსაც**
ვიღერებ.
მიიღოს ჩემგან ეს სიმღერა სულისშიერი.

თარგმნა **ამირან ასანიძემ.**

სურათებზე: ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა (ქვემოთ, მარჯვნივ). ამავე ფაბრიკის საქმოვი საამქროს მოწინავე კომფინტი ელენე თარაევა (ზემოთ); ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები საგაზაფხულო თესვისათვის ემზადებიან. თესვისთვის ტექნიკის მზადყოფნას ამოწმებენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბესტაევი (მარცხნივ), სხვ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მექანიზატორი ყ. ქელესხანია (ქვემოთ). კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ვ. თედეევი (ქვემოთ).

ლ. ბუსოვის ფოტო.

ბევრ ადამიანს ხანიერდოდ უზარუნველყოთ ხალხი სასურველთა პროდუქციით და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით — ეს ამოცანა, რომელიც ახლა კაბინეტმა დასახა მთელი ქვეყნის მასშტაბით... ამიტომ ძალზე საგირო, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, რაიონებმა, ოლქებმა, ყველა რესპუბლიკამ კონკრეტულად განსაზღვრონ, თუ რა მაქსიმალური, ხაზს ფლობს — მაქსიმალური ფასლილის შეიძლებ ამ უპირველესი ამოცანის ასრულება. კარგად უნდა მოვიფიქროთ, როგორ მიეკაფიოთ იმას, რომ ყოველი ბანდეთი კაკიბილალური დაბალდეთ, თითოეული დაბალეთითი ბოლა საბჭო ხრულად ნაზღაურდეთოდეს ქანების, ბალებისა და ფერმების პროდუქციის ზრდით.

ლ. ი. ბრეჟნევი

— ჩვენს ცხოვრებასა და მუშაობაში არსებულ სხვა ნაკლოვანებებთან ერთად დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ ხშირად გარეგნული ეფექტდღეობის მიღმა არსებულ ნაკლოვანებებს ვერ ვამჩნევდით. ეს ხან ვერშემჩნევა იყო, ხანაც უფრო საშუხარო არშემჩნევა, თუმცაღა საქმისათვის ორივე ერთნაირად საზიანოა. ახლაც ხომ არ შეინიშნება ხოლმე მსგავსი რეცედიციები? წლობით ფესვგადგმულმა სენმა ხომ მომაკვდინებელი მეტასტაზები იცის.

— შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, თითქოს ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით ყველაფრის შეცვლა შეიძლებოდეს, ეს მხოლოდ ზოპარებში ხდება. ცხოვრება კი. ძალზე რთულია და მრავალფეროვანი. არც ის არის დასამალი, რომ ბევრ ხელმძღვანელს ახლაც უყვარს ლამაზ ანტურაჟის ამოფარება. ბუტაფორია თეატრშია კარგი, ცხოვრებაში იგი უვარგისი ხერხია. ამგვარი გარეგნული ეფექტდღეობის ყალბი სურათი იყო შექმნილი კვანის მაღაროთსამმართველოში, აქ ყოველწლიურად სრულდებოდა გეგმები, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. ოღონდ ეს კია, ამბობდნენ საბადო ილეკა და რამდენიმე წელიწადში მთლად ამოიწურებოო. ხუთწლედის ბოლოს გამოირკვა, რომ მაღაროთსამმართველოში საკმაოდ დამაფიქრებელი და სერიოზული მდგომარეობა შექმნილა. ჯერ ერთი, გეგმები სრულდებოდა არა ძირითადი, არამედ მეორე და მესამეხარისხოვანი საშუშაოების ხარჯზე, რომელიც საქმეს ოდნავადაც არ სწევდა წინ. მაღაროთსამმართველოს ყოფილი უფროსი უშარ გასიევი თანამშრომლებს, ხალხს დაუპირისპირდა, ერთი სიტყვით, შეიქმნა მეტისმეტად არაჯანსაღი ატმოსფერი, რომელიც უსწრაფეს ოპერატიულ ჩარევას მოითხოვდა. მდგომარეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მსჯელობის საგნად იქცა. მაღაროთსამმართველოს ხელმძღვანელობა შეიცვალა. განხორციელდა სხვა აღმინისტრაციული ღონისძიებები.

რაც მთავარია, გამოირკვა, რომ სამდაო კი არ ილეკა, არამედ იმდენი და ისეთი ძვირფასი მადნეულით არის სავსე, რომლის ამოღება-დამუშავებას ათობით წლები სჭირდება.

— როგორც ვიცით, ახლა კვანისში თითქმის ქალაქის შენებლობაა განზრახული.

— სხეანირად წარმოუდგენელია. აქ ისეთი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი, რომ ახლოდელი დაბა კვანისის მოსახლეობა ვერაფერს გახდება. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ იმხელა სამშენებლო ორგანიზაცია უნდა შეიქმნას, როგორიც ცხინვალშია № 11 ტრესტი. აშენდება თერთმეტი 45-45-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, მუშათა საერთო საცხოვრებელი, 50-საწოლიანი სავადმყოფოს კომპლექსი, 50-ადგილიანი პროფილაქტორიუმი, სპორტული ბაღი, ახალი მაღაზია და პავილიონი, პოინერთა ბანაკი მაღი ზღვის პირას და მრავალი სხვა.

ყველაზე სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ისინი, ვინც მიატოვა დაბა, ახლა უკან ბრუნდებიან. ერთი სიტყვით, კვანის დიდი მომავალი აქვს.

— ხომ არსებობს მუშაობის სხვადასხვაგვარი ფორმები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევდა დროზე გამოვამღაჯოოთ წარმატების ნიღაბაფარებული, თვითდინებაზე მიშვებული საქმე. დროული დაგნოსტიკა ხომ გამოჯანმრთელების ყველაზე უკეთესი საშუალებაა.

— ყველაზე საუკეთესო საშუალება მაინც კონტროლია, დროული შემოწმება, დახმარება. ამიტომ პარტიის საოლქო კომიტეტთან, აგრეთვე რაიონულ კომიტეტებთან შექმენით დადგენილებათა კონტროლის სპეციალური კომისიები.

მათი ფუნქციები მხოლოდ პარტიულ კრებებზე მიღებული დადგენილებების ქმედითობის შემოწმებით არ ამოიწურება. ისინი ეხმარებიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს კრებების მაღალ დონეზე ჩატარებაში, საქმიანი, კონკრეტული დადგენილებების შემუშავებაში, დიდი ყურადღება ექცევი იმას, რომ დადგენილების შესრულებას მკაცრად განსაზღვრული დრო ჰქონდეს, აგრეთვე მისი შესრულებისათვის პასუხისმგებელი კონკრეტული პირი ვინება იყოს. ყოველივე ამის შემდეგ ამოწმენენ, ვადაზე სრულდება თუ არა დასახული.

დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს წონა და გამართლება, როდესაც მისი თითოეული პუნქტი სრულდება, თორემ, რა ხდება ხოლმე ზოგჯერ! დადგენილება დადგენილებად რჩება, ხოლო საქმე — თავისთვის. მაგალითად, ჯავის რაიონში თვალ ორა აქვს, იმდენი დადგენილება მიუღიათ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის მიზნით ჯავის, სოფლების წონის, კიროვის საბჭოთა მეურნეობებში. ეს მიზანი დღემდე მაინც მიიღწეველია. სამეურნეო ხელმძღვანელებს არც პირველადი პარტიული ორგანიზაციები ეხმარებიან წარმატებისათვის ბრძოლაში.

— მათ კი, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, წარმატებაში სწორედ რომ გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ. ამიტომაც დაეთმო ეს ოდენი უყურადღება ამ ბოლო ხანებში მათი საქმიანობის გაუმჯობესებას. რა მიგიპნიეთ უპირველესად პარტიულად პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისა-ნა-რიანობის ამაღლებისათვის?

— მთავარი ჯერ მთდღამი სწორი ხელმძღვანელობაა. დასამალი არ არის, რომ ოლქის, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები ჯერ კიდევ კომპეტენტურად ვერ ხელმძღვანელობენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. თუმცაღა ჩვენი პირველადი, საამქრო პარტიული ორგანიზაციები, პარტჯგუფები ხელაღებით კრიტიკას არ იმსახურებენ. უკანასკნელ საანგარიშო-საარჩევნო კრებებს კომუნისტთა მანამდე არნახული რაოდენობა — 6 ათასს კაცზე მეტი დაესწრო. მონაწილეთა თითქმის ნახევარმა გამოთქვა საკუთარი აზრი. აქ გამოთქმულ ორი ათასამდე კრიტიკულ შენიშვნასა თუ წინადადებას კონტროლი დაუწყია. და ამ წინადადებების პრაქტიკული რეალიზაცია, საქმის ბოლომდე მიდევნება უნდა ეყოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მომავალი მუშაობის მიმართულება.

— დადგენილებაში ნაკლოვანებებთან ერთად, რასაკვირველია, საქმის გამოსწორების გზებიც იყო მინიშნებული. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილად მასების შრომითი, პოლიტიკური აქტიურობის გაგვითარება არის მიჩნეული. თქვენ-კი აზრით, როგორ უნდა გადაწყვეტონ პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს ამოცანა?

— თითოეული მუშაკის აქტიურობას, შრომისადმი მის დამოკიდებულებას ბევრად განსაზღვრავს საერთო სიტუაცია.

ავტონომიური ოლქის მშრომელთა საერთო აქტიურობაზე განუზომლად დიდი გავლენა იქონია ინ ატმოსფერომ, რომელიც მათ გარშემო შეიქმნა უკანასკნელ წლებში, ამ უდიდესმა ყურადღებამ, რომელსაც ჩვენ მიმართ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე, იჩენენ. გადაჭრიბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ხალხი ასეთი სითბოთი, მზრუნველობით მოსილი არასოდეს ყოფილა. ეს დიდ ფადებითს რეაქციას იწვევს. და, საერთოდ, ვიდრე მოსთხოვთ ადამიანებს, უნდა გასცე მათთვის, მუშაობის პირობები უნდა შეუქმნა, ყურად უნდა იღო მათი სატკივარი. მხოლოდ შემდეგ გაქვს მორალური უფლება მოსთხოვო მათ.

ჩვენი ოლქი ამ ბოლო წლებში რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების მიხედვით ერთ დიდ სამშენებლო მოედანს დაემსგავსება. გრანდიოზული მასშტაბების სამეშაოები მოგველის. ხალხი რომ ხედავს ასეთ გაკანკალს. ასეთ მხარდაჭერას, დაუზარებლად მოგაკვებს. შიგადაშიგ გამოიკეთ თითქოროლა ესაქმეს, თუ საკეთებელ თვალებაბეულ თვითონ ხალხი მოუვლის ხოლმე.

საერთო ბერძნობის დამახასიათებელია ის ძიებები, ჩვენნ ოლქის სხვადასხვა რაიონში რომ მიმდინარეობს. გასაკეთებელი ზზუნვა ახლა მეცხოველეობას სჭირდება. სასურსათო პროგრამა დიდ ამოცანებს გვისახავს. ჯავაში ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი პირტკეცი შემოიყვანეს, რომელსაც მთაში, ძალიან ზემოთ, ალპურ ზონაში ამოვებენ, იქ, სადაც არსებითად გამოუყენებელი საძოვრებია. თუ რა შედეგებს მოგვცემს ეს ძიებები, წინასწარ ვერაფერს ვიტყვით. ის კი შემიძლია ვთქვა, რომ ამ ხუთწლედის ბოლოს ოლქს ხორცის დოტაცია აღარ დასჭირდება. საკუთარი წარმოების ხორცი სამყოფად უნდა გვქონდეს — ეს ლიტონ სიტყვები არ არის. საამისო ღონისძიებები უკვე ხორციელდება. შენდება და თანდათან საეპპლოატაციოდ გადაეცემა საქონლის გამოსაზრდელი თუ გასასუქებელი პუნქტები. საგანგებოდ უნდა მოვახსენოთ ზნაურის რაიონის სოფელ ბეკმარის და ლენინგორის რაიონის სოფელ ზაყორის ორი საღორე თითოეული 1500 სულისათვის, დიდი ყურადღება ექცევა მთაში საკომუნიკაციო საშუალებების .მშენებლობას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საკვების მოპოვებას. მაგალითად ხოძის მთაზე ზღვის დონიდან 2000-3000 მეტრ სიმაღლეზე საკვებმომპოვებელთა ბრიგადები მუშაობენ. ერთი სიტყვით, ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. მომავალი ბევრს გვპირდება.

... მომავალი.

მომავალში უპირველესად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 60 წლის თავის ზეიმისათვის ემზადებიან ოლქის მშრომელები. ბევრი რამ გაკეთდება ამ რამდენიმე თვეშიც კი: ზეიმობა მაისის ბოლოსათვის არის დაგეგმილი. საზეიმო კრება საოლქო კომიტეტის ახალ შენობაში მოეწყობა, ქალაქ ცხინვალში ამოქმედდება ტროლეიბუსის პირველი რიგი. დამთავრდება ცხინვალის კულტურის და დასვენების პარკის საკონცერტო დარაბაზის და ქალაქის 10.000-ადგილიანი სტადიონის მშენებლობა, აგრეთვე სამი საცხოვრებელი კორპუსის და ზონკარის წყალსაცავის პირველი რიგის მშენებლობა და სხვ.

ბათუმელი მშრომელები ქ. ცხინვალში დაამონტაჟებენ მუსიკალურ შადრევანს, რაც ინტერნაციონალიზმის, ჭეშმარიტი ძმობის და ერთა თანაარსებობის ლენინური პრინციპის კიდევ ერთი ცოცხალი მაგალითია.

მომავალში ახალი ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის ბრძოლის ნლებია, არაერთი შემოქმედებითი შრომითი სიხარული რომ უნდა მოუტანოს ოლქის მშრომელებს. ხუთწლედის ბოლოსათვის სამრეწველო პროდუქციის ნლიური გამოშვება 45 მილიონი მანეთით გაიზრდება. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება კი 42 პროცენტით მოიმატებს. დაჩქარებული ტემპით განვითარდება ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ასეთია მომავალი, რომელიც უთუოდ ბევრს პპირდება ოლქის მშრომელებს. დაპირება საქმედ იქცევა უთუოდ, რადგან სწორია ალებული კურსი, ისტორიულმა დადგენილებამ რომ დასახა, რომელიც კვლავ მოქმედებს, მიგვითითებს, გვასწავლის, რომელიც კვლავ რჩება ჩვენი მოქმედების სწორ ორიენტირად.

გ. ხარებაშვილი,
გ. თედეევი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

ᲒᲝᲠᲒᲘᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲔ-200 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ

ᲒᲝᲠᲒᲘᲔᲕᲘᲡᲘᲡ ეს ქალაქი ძვირფასია ყოველი ქართველისათვის. მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში ეროვნული ენა ბაზიერ ენად ჩამოყალიბდა, ეს ქალაქი ერთ-ერთი ადგილია, სადაც ქართული ენა ფეხმოკიდებულ, ფეხმოკიდებულ ... ᲒᲝᲠᲒᲘᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲔ-200 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲛᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲥᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲢᲘᲡᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲛᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

კომუნისტი
საკავშირო საკითხავი
გაზეთი

ვალერიან გუნიას დაბადების 120-ე წლისთავის გამო

...ვით შეჰფერის კაცსა კაცობა!



მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მსახიობთა თანავარსკვლავედში ვალერიან გუნიას სახელი დიდი ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნიას, ლადო მესხიშვილის, მარიან საფაროვა-აბაშიძის, ეფრო კლდიაშვილის, კოტე ყიფიანის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, და-ძმა ეფფონი და კოტე მესხების მხარდამხარ ისწენება.

ვალერიან გუნიას დასახასიათებლად, დიახაც, იოქმის: „ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა". განა მარტო საამაყო მსახიობი, უპირველესად მოსახსენებელია, როგორც თეატრის თავკაცი, მისი ასვალ-დასვალის გამგეები და გამრიგე. თითქოს, ერთი კაცად-კაცის ტვირთად ეს საკმარისი არ ყოფილიყო, და ის სეეენოსთვის გეზის გამკვლევ კრიტიკოსად, შობლიური სახალველის მემატიანედ, ნაყოფიერ დრამატურგად, თეატრალური გაზეთის რედაქტორად, მეგზნობარ-გამომცემელად ემსახურებოდა თავის ქვეყანას! რკინის ნებისყოფის, საქმის ბოლოდე გამტანის, უმშარი რანდის, სასიკეთოდ ზამოწყობელის ხელმარჯვედ გამრგებს სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, — ახალგაზრდობიდანვე, საზოგადოებრივი „სალხინოს და საეროს" ცერემონიასტარად იყო აღიარებული. სახალხო დღესასწაულებს (თვით ყეენობისაკკ), დიდი ფუბლიკების გაძღოლა მას ეევალებოდა. ამ მხრივ ვ. გუნიას მოღვაწეობის დასახასიათებლად რამდენიმე მისი თავგადასახადი გავიხსენოთ.

... გასული საუკუნის 80-იან წლებში, ქართველი ეროვნული კულტურის წინააღმდეგ რეაქციული ფანატიკოსებ გაძლიერებული შემოტეეის პირობებში, დიმიტრი ყიფიანი გვერდში ამოუდგა თერგდალეულებს და უკადურესი რეაქციონერების მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის, კავასიის სამოსწავლო ოლქის ბზრუნველის ინოოსკის და ეგზარქის პავლეს ხროვას სამკვლერო-სასიცოცხლო ბრძოლა გუმპრთა. ეგზარქოს პავლეს დიმიტრი ყიფიანმა მისწერა: „ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც თქვენ მოწოდებელი ხართ სამწყსოდ... თუ ყოველივე ეს უფალო, მართალია, თქვენი ღირსების გადაარჩენა მხოლოდ შეიძლება იმით, რომ შემჩვენებელი დაუყოვნებლივ განდევნილს შეჩვენებული ქვეყნიდან". ამის საპასუხოდ დიმიტრი ყიფიანი 1886 წელს, იმპერატორის ბრძანებით, გადაასაენეს ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლობიდან და სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ცარიზმის მაგრა ზმელმა აგენტებმა 1887 წლის 24 ოქტომბერს ვერაგულად მოკლეს.

ვალერიან გუნია ამ ამბავს ასე იგონებდა: „ვასო აბაშიძის რეკისორობით თეატრის პაწია ოთახში „გაყრის" რეპეტიციას გავდიოდით, რომლითაც სეზონი უნდა გაგებსნნა ახლად გადაკეთებულ თეატრში... სწორედ გაცხარებული მუშაობა სრულდა, როცა დილის 10 საათზე გავრცელდა თავზარდამცემი ამბავი დიმიტრი ყიფიანის მოკვლისა. ეს გვაცნობა ზინო დავითაშვილმა. ვაზო მარაბელი, გაფითრებული, ხელებაკანკალებული წამდაუწუმ ნერვიულად გაიძახოდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!". ლადო აღნიაშვილი ატირდა. ბოლოს ვანო მარაბელი ბანკისკენ გაეკანა, რომელიც იქვე იყო ბაღის თავში. ჩვენ გავყვეთო. ილია ჯერ ბანკში არ მოსულიყო და ამიტომ ვანომ მაშინვე კაცი აფრინა ილიასთან, რომელიც ბანკის გვერდზე იდგა ფრეიერიხის ქუჩაზე, სადაც მისი გაზეთის „ეეერიის" რედაქცია იყო მთთავსებული. მალე მოვედი თვითონ ილიაც. იმას უკვე სეოდნოდა ჩვენი უბედურება. რედაქციაში დეპეშა მოსულიყო... ილია პირმოკუმული და წარბშეკრული. ხმას არაენ არ იღებს. ვანოს ნერვიული ქვითინი აუვარდა... ილიას ჯერ ქვემოტეჩმა დაეწყო თრთოლვა და მერე მის გაწითლებულ თვალთაგან ორი მსხვილი ცრემლი გადმოიწურა და ლამაზ უღაბუქზე დაეფინა... მე არასდროს არ მენახა ასე ჩუმი, მუნჯი და ამაოდ დროს უმადლესად მეტყველი მწუხარება"...

გადაწყდა დიმიტრი ყიფიანის ოჯახისათვის სამძიმრის გამოსაცხადებლად ქვიშხეთში გაეგზავნათ ვ. გუნია. პირველი პანაშვიდი პირველ ნოემბერს ქაშვეთის ეკლესიაში შედგა, რასაც აუარებელი ხალხი დაესწრო. მეორე პანაშვიდი პირველ დამნაზაზეში უნდა შედგარიყო, მაგრამ მეფის ჟანდარმერიის განკარგულებით აიკრძალა... იძულებელი გახდნენ პანაშვიდი კალოეტბის ეკლესიაში გადაეტანათ. ცეხზრა მძვინვარებდა. გაზეთებს არაფერს აწერინებდნენ. ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ეეერიის" საშუალებით იმის თქმა მაინც შეძლო, რომ დიმიტრი ყიფიანი „იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს", როცა მისი გული ამბობდა „არას". ვ. გუნიამ ერთ ღამეში დაწერა ნარკვევი დიმიტრი ყიფიანზე და გრ. ჩარკვიანმა ერთ დღეღამეში მოახერხა მისი თავის სტამბაში ბრიშურად დაბეჭდვა, ისე რომ, დაკრძალვის დღეს, უკვე ხალხში ერცელებოდა. დამკრძალავმა კომიტეტმა ვალერიან გუნიას, სანდრო ყაზბეგს და ნიკა დიასამიძეს დაავალა სამგლოვიარო პროკეესიისთვის ეწინამძღვრათ.

დიმიტრი ყიფიანის ცხედარს კოტე და მიშო ყიფიანები მოასვენებდნენ სამხედრო გზით, გზადაგზა კავკაზში, ყაზბეგზე, ლეგზეთში, მცხეთაში ცხედარს ხალხი ეგებებოდა და პანაშვიდებს იხდიდნენ, — თბილისში უნდა რკინიგზით ჩამოესვენებინათ. უამრავმა ხალხმა თავი მოიყარა სადგურის წინ, მაგრამ პოლიციამ ცხედარი მცხეთაში შეაჩერა და ხალხი იძულებული იყო დაშლილიყო.

ისევ ვ. გუნიას მოგონებას მივმართოთ: „კვირა დილას აღრიან ხალხმა ვერისკენ დაიწყო დენა. ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა ყველა მიეშურებოდა ვერისაკენ, რომ შეხვედროდნენ ავირფას ცხედარს — „დიმიტრი თავდადებულს". ამოძრავდა, „ო თქმა უნდა, პოლიციი და ჟანდარმერია, აქა-იქ ყაზბეგის ჯგეფი გამოჩნდა. ალექსანდრე ნებიერიძემ ცხენი მოაქროლა და შეგვიტყობინა, რომ ცხედარი უკვე საბურთალოზეა, იქ მივიგებთო, თუ აქ მოუფცადოთო. ჩვენ ვეუთხარით ვერის ხიდს გაღმა შეეეგებოთო. ნებიერიძემ უკან გაკაროლა ცხენი და 10 წუთის შემდეგ გამოჩნდა ბალდახინი — დიმიტრის ცხედარი. უკან მოჰყვებოდნენ კოტე და მიშა, გადავეხვევინთ ერთმანეთს და მაგრად ჩამოვარეთვით ხელი. არც ერთი სიტყვა, არც ერთი ცრემლი"...

შემდეგ აღწერს პროცესიას, ვეერგვანების სიმრავლეს. ამ ვეერგვანების წარწერების გამოქვეყნების ნება არც ერთ გაზეთს არ მისცეს. ...ვეერგვანების რიცხვი 30-ს აღემატებოდა: „პირველ თავის თავმჭდომარეს წერა-კითხვის საზოგადოებისაკან"; „ეეერიის" რედაქციისაგან: — „მართალთანა გახსენენ", ქუთაისის ახალგაზრდობისაგან — „შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატსა"; ქართველ ასისთამეწყობთაგან —„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება" და სხვ.

... „პროცესიას წინ მიუძღოდა სამი. გუნდი მგალობელთა, ლადო აღნიაშვილის ეორო ქუღაჯეში გამოწყობილნი, რაც დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა".

ვ. გუნია ეკრცლად აღწერს, როგორი წინააღმდეგობა გაუწია პროცესიას ჟანდარმერიის უფროსმა გენერალმა იანკოვსკიმ, რომელიც ყანდალის ასაბრობდად გუნიას სთხოვდა, პროცესია „გოლოვინის პროსპექტის ნაცვლად ქაჯეთავაძის ეუჩით გავატაროთო.

— „ეეენო აღმატებულებავ, — მოვახსენე მე, — ჩვენ არაკვეეთ, პირიქით. წინაღმდეგობა პოლიციის მხრით არის და რაც შეეხება სასნალოს, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სასნალი მოხდება მაშინ და ისეთი სასნალი, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა რუსეთში-მეთქი, როცა ჩვენ ყველანი — ჭირისუფლები, სამღვდელოება, ქორო და მთელი ეს მილეთის ხალხი აქედან გაგეეცვებით და მიეცალეზეულს თქვენ დაგტოვებთ და როგორც გენებოთ ისე დამარხეთ-მეთქი. სრული ჭეშმარიტებაა! სწორედ ასე მოვექცეეთო, თუ ჩვენს სურვილზე არ გაგვიშვით, დაადასტურა ყველამ. იანკოვსკი შედგა, მოხსნა დარაგები და ჩვენ ნელნელა გლოვის გალობით გავწიეთ წინ სასაკულისებში პოლიციის ბოქაული შეეჭრა, მან შარი მოსდო კოტე ყიფიანს — ანანიას როლის შემსრულებელს, დაამატმრა და თავის თანმხლებ ყაზახებს უბრძანა პოლიციის უბანში წაეყვანათ. სამსახიობო ოთახიდან ვალერიან გუნია (ოთარბეგი) გამოიჭრა, წინ აღუდგა ყაზახებიან მომხდარ პოლიციას, ბოქაულ ფილიმონოვს დამუქრა კიდეც: პასუხს აგებთო. განაწყენებული ბოქაული არ მოერიდა — ამ გლეხს თავადაც მიგაყოლებო. მოიმინებიდან გამოსულმა ვალერიანმა შესძახა:—რაკი ასეთი რეგვენი ყოფილხარ, მე ვსარგებლობ თეატრის ადმინისტრაციის უფლებით, აქვე დაგაშენებ ეეენ ბეჭე და შენს წუნწალიან ყაზახებს, სანამ შენი უფროსი არ მოვალ. გენიამ მსახიობებს უბრძანა პოლიციმეისტერი გამოძახათ, თვით კი ზმალამოღებული გადაუდგა ბოქაულს. შეშინებულმა ფილიმონოვმა წამოიწყო ულოლა: ახლა თქვენებურად იყოს, მაგრამ შემდეგ კი ჩემებურად შეეადგენ ოქმს სამსახურის მოვალეობის შესრულებისას წინააღმდეგობის გაწევისათვისო. წარმოდგენის გაგრძელებას ნუ გვიშლი, ჩამოგვიცალე და ჯანდაბას შენი თავიო, მიაძახა გუნიამ კუდამოძეებულ ბოქაულს, და წარმოდგენაც გაგნაგრძეს. გუნიას საქმე შეუდგენენ, ერთი წლის შემდეგ სასამართლოში გამოუძახეს, ბრალად ედებოდა პოლიციისთვის, წინააღმდეგობის გაწევა, ბოქაულის შეურაცხყოფა. ვ. გუნიამ შესანმშნავად დაიცვა თავი და თვით გამოვიდა პოლიციის ბრალდებელის როლში. 1905 წლის რევოლუციით შეშინებული მეფის სასამართლო იძულებული იყო გუნია გაამართლებინა.

ეს ორი მაგალითიც საკმარისია იქნებოდა ვ. გუნიას საზოგადოებრივი თავგამოდების, მოქალაქეობრიობისა და მამულშვილობის ნათელსაყოფად. აქვე რამდენმე სიტყვით მოვიგონოთ მისი ბრძოლა მეფის ცეხზურასთან.

1885 წელს გაზეთი „დროება" დახურეს „მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების გამო". ამით გამწარებელი ვ. გუნია თავის „დღიურში" წერს: „დღეს საქართველოს ერთი უკეთეს გაზეთთაგანი „დროება" დაიხურა... შემცდარია, ვინც გულს იტეხს... იმედი გვაქვს ახლო მომავლის, რომ ეს დრო გავა და მოვა სხვა უფრო სანატრელი დრო..." ვ. გუნიამ თვით განიცადა ცეხზურისაგან დევნა - „მეეიზრეა. 1886 წელს იგი რედაქტორობდა ილიას ალმანახში მიერ დაარსებულ გაზეთ „თეატრს". გუნია თავის სულის მდეყარებას დღიურის ფურცლებს ანდობდა: „გაზეთ „თეატრის" რედაქციის საქმე თანდათან უფრო ცუდათ მიდის. ცეხზურამ ხელფეხი შემიკრა. სიტყვა არ მთამქვეეხეს, რა ენა, არ ვიცი... ცეხზურა მტანჯავს, ლუკა ბაროვი ორმოს მითხრის! ამან ბეერს გაუთხარა ორმო, ნეტა როდის იქნება ის დრო, როცა ლუკას თავისი დაეგართება. დრო კი ღვთის წინაშე... საცეხზურო კომიტეტი მეძახის „კრანნი სოციალისტს".

ვ. გუნიას სასაცენო შემოქმედება, მის მიერ დადგმული წარმოდგენები, გამძვინვარებული რეაქციის წლებშიც კი თვითმყოფობლობის წინაღმდეგ მიმართულ დემონსტრაციად ქცეულა. ერთი ასეთი წარმოდგენის შემდეგ ვ. გუნია 1907 წელს ანდრეარეის სამმართველოში დაიბარეს. მან უარი თქვა თავის ნებით გამოცხადებაზე. მაშინ, პოლიციელებმა ძალდატანებით, საკაცეთი წაიყვანეს ჟანდარმერიაში. ამ ამბავს პეტერბურგის თეატრალური პრესაც კი გამოეხმაურა. ჟურნალი „ეტიერ ი ისკუსტვო" (1907 წ. № 7, გვ. 125) იტყობინებოდა: „ამ ცოტა ხნის წინად, სახაზინო თეატრში ქართველი მსახიობის ტასო აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენა გაიმართა დიეერტისმენტით. ერთ-ერთმა მსახიობმა ცნობილი ლექსის ქართული თარგმანი წაიკითხა. ლექსის წაკითხვამ მაყურებლები დიდად აღფრთოვანა, რაც, ალბათ, რამდენადმე თავშეკავებლად იყო გამოვლენილი. მეორე დღეს მობენეფფისეს მამა მსახიობი ბ-ნი აბაშიდე და რეკისორი ვ. გუნია საიდუმლო პოლიციის („ოხრანკის") განყოფილებაში დაიბარეს, სამხედრო წესების გამო დაბარებულებს ეს მგზავრობა მოუხდათ ორი გოროდოვოს და უბნის ბოქაულის თანხლებით. ბ-ნი გუნია ავადმყოფობამაც ვერ იხსნა საიდუმლო პოლიციაში გამოცხადებისაგან, ის „საკაცეთი მიიყვანეს".

ესეც ერთი მოწმობა იმისა, თუ როგორ უქერდა მხარს და ეხმაურებოდა რუსული პროგრესული თეატრალური პრესა ქართველ მსახიობთა მოქალაქეობრივ შემართებას.

ვ. გუნიას ცხოვრება და შემოქმედება იმის მსაწვლველი და შთამაგონებელია, რომ ჭეშმარიტი მსახიობი სამაგალითო უნდა იყოს არა მარტო შემოქმედებით, უპირველეს ყოვლისა მოქალაქეობით, თანამედროვეობის მოწინავე იდეებისათვის თავდადებით.

დიმიტრი ჯანელიძე,
პროფესორი.

„ᲛᲖᲘᲣᲠᲘᲡ" ᲛᲖᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲒᲐᲪᲘᲡᲙᲠᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ შთაგონებული სახები ბავშვებისა, რომლებიც უმღერიან მზეს, გაზაფხულს, მხიარულ ბავშვობას... მათ მსმენელთა სიყვარული დაიმსახურეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც — საფრანგეთსა და სპერანდეთში, ბულგარეთსა და უნგრეთში, ჰოლანდიასა და ჩეხოსლოვაკიაში.

იმ მომხიბლავმა გოგონებმა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ვოკალურ-ხაროვიერ ანსამბლ „მზიურში" რომ გამოდიოდნენ და მისი ბიოგრაფიის პირველი ფურცელი გადაშალეს, უკვე დაამთავრეს თავიანთი ბრწყინვალე გამოსვლები მოსკოვის ოლიმპიადაზე. ცეცხლოვანი მზიური ხელოვნების ესტაფეტა მეორე თაობამ ჩაიბარა.

გ. დიორტკინი,
საქინფორმი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: ᲩᲕᲝᲜ „ᲛᲖᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ" ᲕᲐᲠ; ᲡᲚᲝᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲠᲣᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘ).

ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲭᲐᲛᲘᲔᲠ!

ᲙᲘᲣᲓᲝᲛᲘᲢᲐᲗᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ სპორტის სასახლეში ერთი ძალიან კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: გამარჯვებული სპორტსმენის სადიდებლად, როდესაც იგი კვარცხლბეკზე დგას, ჩვენი დიდებული „მრავალჟამიერის" ჰანგები იღერება. ძიდოლიტთა საერთაშორისო ტურნირის მეორე დღეს ეს მრავალჟამიერი ეკუთვნოდათ 78 კილოგრამამდე წონის კატეგორიაში გამარჯვებულ არჩილ წიკლაურსა და მეორე ადგილზე გამოსულ მალხაზ ალბორიშვილსაც. ერთი სიტყვით, ამ დღეს სპორტის სასახლეში ფინალში ერთმანეთს ორი ქართველი ძიდოლისტის ჯიდილის მოწვენი გავდოთ. ერთსაც და მეორესაც ფიხალმეზე საკმაოდ ძნელი და მოქანცველი ბრძოლა გადახდა. საქართველოს ჩემპიონმა წიკლაურმა გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე ქვეჯგუფში დაიკავა პირველი ადგილი, შემდეგ კი მერეედ ფინალში დაამარცხა ა. გრეეგორჩეკი (ბოლნელელი), მეოთხედფინალში — თანაგუნდელი მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი ზოთა ხაბარელი, სწორედ ის სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, რომელსაც ტურნირში პირველ ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ. ნახევარფინალში წიკლაურმა სძლია გორნა აკოფოვს (იგი ბაშფრელია და ამჟამად კიევში იხდის საკალდებულო სამხედრო სამსახურს). ალბორიშვილმა ქვეჯგუფში მოპოვებული წარმატების შემდეგ მერეედფინალში დაამარცხა თანაგუნდელი ლევან ცისკარიშვილი, მეოთხედფინალში — მაშელ ნოვაკი (საფრანგეთი), ნახევარფინალში — ანდრია კლოიანი (სსრ კავშირი).

ფინალური ორთაბრძოლა წიკლაურსა და ალბორიშვილს შორის ისეთნაირად წარიმართა, რომ ვერც ერთმა ვერ მოახერხა მომგებიანი ქულის აღება. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან წიკლაურიც და ალბორიშვილიც საქართველოს ნაკრების წევრები არიან. ერთად უხდებათ ვარჯიში, ცარგად იცნობენ ერთმანეთის ძლიერ თუ სუსტ მხარეებს. და მაინც, წიკლაური უფრო აქტიური იყო, განსაკუთრებით ორთაბრძოლის ბოლო ნაწილში და მსაჯებმაც სწორედ ამას მიაკუთვნეს გამარჯვება. მაგრამ ამჯერად ეს როდი მთავარი, მთავარი ის გახლავთ, რომ წიკლაურმა და ალბორიშვილმა ორივემ ტატულებს ბრძოლა გვიჩვენეს.

თუ ვივარაუდებთ იმასაც, რომ სპორტსმენები მიეწეულნი ამ „გათამამებულნი", გაათეცებული ენერგიით ივარჯიშებენ, მეტ ხელბეჭოთს გამოიჩენენ, დაცავენ სპორტულ ეიერ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲗᲘᲠᲐᲜᲐ. ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲮᲔᲓᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. მეთორმეტე ტურში საქართველოს წარმომადგენლობა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები: ზ. სტეფანეს ხარკოველ ა. ჩეერნინთან, ზ. აზმაიფარაშვილმა — ოდესელ ვ. ეინგორნთან, მაია ჩიბუურდანიძემ — მოსკოველ ს. გორელოვთან. 12 ტურის შემდეგ ლიდერობს სტურუა — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ჩელიაბინსკელ ს. დვორისმან 7 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲗᲘᲡ. გთავაზობთ საერთაშორისო ამხანაგური მატჩების შედეგებს: ოდესელი (ახალი ზელანდია), ახალი ზელანდიის ნაკრები — უნგრეთის ნაკრები — 1:2; ოდესა (თურქეთი). თურქეთის კლუბების ნაკრები — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები. — 0:1; სოფია. სოფიის „სლავია"-მოსკოვის „სპარტაკი" — 2:2.

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

14 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა: 9.00 — „ერემია" (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტანვარჯიში ოლიმპიური ხასიათი", 10.00 — „ზოამე", 10.30 — შეგიძლია ლეთ რუსული ენა, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები", 11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პამირის ტრასები", 12.00 — „ქართული ფოლკლორის მოამაგენი" — ვ. კოტეტიშვილი (განმეორებით), 13.15 — „ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი", 13.45 — მოსწავლეთათვის — „საპოვნელია ფილები", 14.35 — „ხუთწლედი — წელი მეორე", 15.10 — „ლელუნიონი", 17.40 — „ვესტნიკი", 18.10 — „ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.45 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 19.30 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვესპრიმიტი", 19.45 — „თქვენთვის პატარებო!" — „ზღაპრების ბუდა", 20.00 — „ზოამე", 20.30 — „ეროზიის საღამო" — ჯანსუღ ჩარკვიანი, 22.00 — „ერემია" (მ.), 22.35 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ზვიადი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე", 23.45 — საერთაშორისო ტურნირი ძიდოლიში.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

14 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **სვეტიცხოველი** დღეაქე (ლესსინ, მე-8 აბონ. მე-5 წარმ.), **ფაუსტი** და **ვალპურგიის ღამე** (საღამოს), 17.00 — **ბედნიერ ვალეტ** (დღისით და საღამოს); **აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — **ძმაცები** (დღისით), **ეკატერინა ქორწილი** (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **ახალ ბინას გილოცავთ**; მეტეხის თეატრი — **ძალღსნები**; კინომსახიობთა თეატრი — **დონ ჟუანი**.



ᲣᲚᲘᲪᲔᲜᲘᲚᲘ. Ი. ᲫᲔᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲯᲣᲚᲣᲮᲘᲫᲔ

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ

ქუჩა მკვდრეთით ნამომდგარა დუქნებად
და ჩარდახებად,
რიკულები ნოხებმა და ფარდაგებმა
გადალება...
იგალობონ,
ირახჩახონ,
კრამტებმა,
აგურებმა...
ტყვეობიდან,
ტყვეობიდან,
ტყვეობიდან დაბრუნება!

დაბრუნდება ძველი სისხლი, მტერზე
მტრული შემართება
(თუმცა ახლა სულ სხვა დროა, მე რა
მტრობა მემართება...).
თუ ნატვრაა,
თუ ნატვრაა,
სანატრელიც არ გაქრება...
იოცნებონ,
იოცნებონ,
საქართველოს ქალაქებმა!
ამოიდგა ენა სტვირმა,
არლნებმა და
დაირმებმა...
იმ თბილისთან ეს თბილისი რა ვქნა,
მესხეანარეება.

უბრუნდება კედელს ფერი,
სახლს — ლიბო და
ჭერი — ტაძარს...
ამ თბილისმა ის თბილისი დავიწყებას
გამოსტაცა!

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲑᲐ

სახლი — ეს ჩემი თავდავიწყება,
ჩემი ბავშვობის თავშესაფარი:
ოჯინჯალაზე შაში ირნევა,
ყვითლად ბრდღვიალეს მჭვარტლში
ზაფრანი.

ინვის კერაზე ეკლის ჯირკები,
ისევ ჰკიდია ნაჭას კარდალი...
ამიერნალ სულ აქ ვიქნები,
აქ დასრულდება ჩემი ზამთარი.

ისევ აქა ვარ, ღმერთმა მიშველა,
მესმის ბავშვობის დღეთა ზუზუნი...
ეს მე, პატარა და ოფეშშიშველა
ღია კარებში ვარ აბუზული.

იგი თვალები — ელვა, ცინცხალი,
ჩემი მარტოდენ ხსოვნის ლანდია...
რა დრო გასულა...
მაინც ვიცანი,
მაინც ასრულდა რაც მინატრია.

დღემდე ვეძებდი ცაში, ღრუბლებში,
მოვალე ქვეყანა სიგრძე-განედით...
ახლა ჩავიკრავ ჩემს თავს უბეში,
ვინ დაგვაშოროს ან ერთმანეთი.

* * *

შენდა საგალობლად მოვდექ,
მუხლს შენს სათაყვანოდ ვიყრი,
სხვათა გამაშორე ცოდვებს,
დღენი დამასიზმრე სიყრმის.

ისე გამითენე დილა,
ისე დამიღამე თვალი,
გული ამიტკივე სხივად,
შიში მომირჩინე ხვალის.

მეყო, არასოდეს ვთრთოდე,
ასე, მოთმინებით ბრიყვის,
შენდა საგალობლად მოვდექ,
მუხლს შენს სათაყვანოდ ვიყრი!

ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲔᲑᲘ

კარგია, დღეს რომ დღე ᲰᲕᲘᲐ,
ფოთოლს — ფოთოლი, კარგია,
მაგრამ აპრილიც ხომ იყო,
მარტის წვიმებიც აქვეა.
სახელი უნდა ყველაფერს,
ყველაფერ ამას რა ᲰᲕᲘᲐ?
ყველაფერს თავის ფერი აქვს,
ყველაფერს — თავის ნაპირი...
მარტი არც მარტო მარტია
და არც აპრილი — აპრილი!

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲤᲘᲚᲛᲘ—ᲒᲐᲠᲘᲭᲠᲐᲥᲘ

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲝᲗᲮᲠᲗᲠᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲖᲔ *

ᲔᲡ პატარა კინომოთხრობები გარიერაკის კადრებით იწყება და მთავრდება. ალბათ იმიტომ, რომ მთელი ფილმი თავიდან ბოლომდე გარიერაკია. ალბათ იმიტომ, რომ იმათ, ვინც „ეგი შექმნა, დასანყისშივე ჩააბარეს მაყურებელს ფილმის გასაღები, თითქოს საკუთარი აღმოჩენა, ანალოგია, მთავარი მეტაფორა გაანდეს. თითქოს ავტორები გვეუბნებიან: პირველი სიყვარული გარიერაკზე მზის სხივსა ჰგავს, რომელსაც გამიჯნურებულ ასაკოვანთა ვნებების დარი ჯერ არც ელვარება აქვს და არც მცხუნვარება. მაგრამ აქეს პირველქმნის, პირველმხილველის, პირველალქმის საოცარი ძალა და განუმეორებლობა.

ეს ის სხივია, უსასკო, რომელიც ეს-ეს არის გამოკრთა, თვალს არ გაჭრის, თვალის გასწორებაც კი ხერხდება მისთვის, ოღონდ ყმაწვილის წარმოდგენაში მძლეთა მძლეა უმანკოების, უბინოების ყოვლისმძლეობით (გაიხსენეთ, „ენამჭევრი" თამრიკოს გრძნობას არ უმხელს, მიაჩნია, რომ თამრიკო ყველაფერს თვითონ უნდა მიხვდეს).

რატომ მაინც მხოლოდ ყმაწვილის წარმოდგენაში და არა ცხოვრებაში? განა არ ვიცით რომელოსა და ჯულიეტას პირველი სიყვარული ჭეშმარიტად ყოველისმძლეობის ამბავი? რომეო ჩანაფიქრითაც და შესრულებითაც. უბრალოდ ბავშვთა სამყაროს სურათებია აღებული და კინოში არსებითი დეტალებით გადმოცემული.

აქ კი ალმოჩნდება: ეს გარემოება სრულიადაც არ მოასწავებს იმას, რომ ფილმი ქრონიკის ფარგალში მოვათავსოთ, განზოგადების საფუძველი გამოვაცალოთ.

პირიქით. პატარა მოთხრობებს მარტო ბავშვებს ნუ განეუკეთნებთ, რამეთუ უფროსებსაც მოგვეხმარება შეყვარებული ყმაწვილის სულიერი მდგომარეობის შეცნობაში. ამ თვალსაზრისით უთუოდ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ღირებულებასთან გვაქვს საქმე. თანაც, ფილმის სიბრძნე ხასხასა იუმორი აქვს შეთვისებული. მარტო მოთხრობების დასათაურება რაღა ღირს: „ენამჭევრი", „ავბური ცარცის წრე", „მხოლოდ შენ ერთს!..." და ა. შ. „აქსელერაციას" მე „ჭორფლიან აქსელერაციას" დავარქმევდი. თხრობის სირნოვლისათვის, ხასიათის გამოსახატავად შერჩეული დეტალები — ჭორფლი, მეჩხერი კბილი ახალი არ არის ხელოვნებაში, მაგრამ ისე, როგორც აქაა გათამაშებული, — იშვიათად!

ახლა რა კარგები არიან ეს მამლაყინწა ბიჭები და ეს კოპწია გოგონები, რა ბროლის მჭვირნია მათ სულში და მათ თვალებში!

მოდი, ისევ მიხოს მივუბრუნდეთ. ხომ ნამდვილია, რომ კაცობაში კაცი დადგება. თუ არ-ბილებისა, არამედ გოგონასიც, რომელმაც არა იცის რა მიხოს „გამიჯნურების" ამბისა, იქნებ ვერც ვერასდროს გიიგოს, მაგრამ გაგრძა: მარინას, ქალაქს რომ მანქანდან თავგამოყოფილი ანკარა მდინარის მიმართულებით შორდება, მთელი ცხოვრება თან გაჰყვება მდინარეში ქარავანივით მინყობილი საზამთროები, როგორც სიმბოლო და გახსენება პირველი გრძნობის

ᲤᲘᲚᲛᲘ—ᲒᲐᲠᲘᲭᲠᲐᲥᲘ

ზიოა ჩანაფიქრითაც და შესრულებითაც. უბრალოდ ბავშვთა სამყაროს სურათებია აღებული და კინოში არსებითი დეტალებით გადმოცემული.

აქ კი